ხელშეკრულება № 204

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საქონლის შესყიდვა)

(დაფინანსების წყარო: საბიუჯეტო)

ქ. გორი 27 ნოემბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი: 417883035) და მეორეს მხრივ **ინდ. მეწარმე გიული ციციშვილი** (ს/კ: 43001016792), სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულების შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" (დოლის ნრის მოსწავლეებისთვის) საჭირო დასაჯდომი პლასტმასის სკამების შესყიდვა.

1.2 შესყიდვა განხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

-დასაჯდომი პლასტმასის სკამი – 10 ცალი (CPV კოდი: 39111000) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 150 (ასორმოცდაათი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა არა უგვიანეს 2015 წლის 04 დეკემბრისა.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისთვის" (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის "მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშწორება “მიმწოდელთან” ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3 უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.4 “მიმწოდებელს” უფლება აქვს: - მოსთხოვოს “შემსყიდველს” შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5 “მიმწოდებელი” ვალდებულია:- მიაწოდოს “შემსყიდველს” შესყიდვის ობიექტი მოთხოვნის გაკეთებიდან არა უგვიანეს 2015 წლის 04 დეკემბრისა.

8.6 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან – 2 (ორი) კალენდარული თვის ვადით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილებრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრუელბის შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრუელბო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნოებებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის დირექტორი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის	ინდ. მეწარმე გიული ციციშვილი
მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-	
საგანმანათლებლო ცენტრი	
მის.: ქ. გორი, მშვიდობის გამზ. №12ა	მის.: ქ. ქარელი, სტალინის ქ. #41
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ს/ნ: 417883035	ს.კ: 43001016792
	ა/ა GE16LB00 2200 0010 0300 00

/ვ. შუღლიაშვილი /

/გ. ციციშვილი /

მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

ქ. გორი 03 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – "შემსყიდველი") მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით და მეორეს მხრივ **ინდ. მეწარმე გიული ციციშვილი** (ს/კ: 43001016792), სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2015 წლის 27 ნოემბრის ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლისა შესყიდვა)) მოთხოვნათა შესაბამისად, "მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა 10 ცალი პლასტმასის სკამი. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 150 (ასორმოცდაათი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით:

შემსყიდველი	შემსრულებელი
ვ. შუღლიაშვილი	გ. ციციშვილი